World Vision
GEORGIA

# ტექნიკური დავალება

## ანიმაციური ვიდეო რგოლების დამზადების მომსახურებაზე

World Vision International- საქართველოს ფილიალი აცხადებს ტენდერს ანიმაციური ვიდეო რგოლის დამზადებაზე, რომლის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს 15-20 წუთი.

### ჩვენს შესახებ

World Vision საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 1996 წლიდან ბავშვებთან, ოჯახებთან და ადგილობრივ თემებთან ერთად მუშაობს სიღარიბისა და უთანასწორობის დასაძლევად. World Vision საქართველოს პროგრამები თუ პროექტები, ხუთ ძირითად გეოგრაფიულ არეალში ხორციელდება: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, აჭარა და თბილისი. თითოეული პროგრამა/პროექტი მიზნად ისახავს კომპლექსური მიდგომის საშუალებით ბავშვებისთვის ჯანსაღი, აქტიური და ინკლუზიური გარემოს შექმნას.

### მომსახურების მიზანი:

შესასყიდი მომსახურების მიზანია შეიქმნას ანიმაციური ვიდეო რგოლი World Vision საქართველოს გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლოებისა და სოციალური ინკლუზიის პოლიტიკის და პრაქტიკების (Gender Equality, Disability and Social Inclusion (GEDSI)) შესახებ. ვიდეო-რგოლს ექნება ვიდეო-ტრენინგის ფორმატი, იქნება ქართულ ენაზე ინგლისური სუბტიტრებით და განთავსდება ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

- ვიდეო - გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სოციალური ინკლუზიის შესახებ მოიცავს ინფორმაციას პოლიტიკის შემადგენელი მთავარი პრინციპების და მიდგომების შესახებ და თუ როგორ ნერგავს ორგანიზაცია ამ პრაქტიკებს. ვიდეო ასევე განიხილავს საერთაშორისო და ადგილობრივ საკანონმდებლო ჩარჩოს, რასაც ეს პოლიტიკა ეფუძნება.

### მომსახურების დეტალური აღწერა:

ვიდეო-რგოლების შინაარსი და პრეზენტაციები მომზადებულია. საჭიროა ანიმაციური ვიდეოს მომზადება და გახმოვანება, წინასწარ მომზადებულ ტექსტზე დაყრდნობით. დეტალების განხილვა და მსგავსი ვიდეობის ჩვენება მოხდება შერჩეულ კანდიდატთან, დამკვეთის მიერ.

- ვიდეო რგოლი უნდა იყოს 15-20 წუთი ხანგრძლოვობის
- ვიდეო-რგოლს უნდა ჰქონდეს სუბ-ტიტრები ინგლისურ ენაზე
- ვიდეო-რგოლის ფორმატი უნდა ოყოს MP4
- ვიდეო უნდა შედგებოდეს გრაფიკული და ანიმაციური ელემენტებისგან
- გახმოვანება უნდა მოხდეს მესამე პირის დახმარებით
- ვიდეო რგოლების ნახვა მომხმარებელმა უნდა შეძლოს როგორც კომპიუტერში, ისე მობილური ტელეფონით ან პლანშეტით.

World Vision GEORGIA

## სამუშაოს შესრულების ვადა:

ვიდეო რგოლის სამუშაო ვერსია უნდა მომზადდეს და წარედგინოს დამკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3-4 კვირის ვადაში, ხოლო საბოლოო ვერსიის დამზადების ვადაა მაქსიმუმ 6 კვირა.

**სამუშაოს შესრულების არეალი:** თბილისი, საქართველო

## მოთხოვნილი კვალიფიკაცია და გამოცდილება:

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

- სერვის პროვაიდერს (ფიზიკური ან იურიდიული პირი) უნდა ჰქონდეს მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება აუდიო და გრაფიკული ვიდეო ვიზუალური მასალის შექმნაში;
- სოციალური და საგანმანათლებლო თემებში სატრენინგო ვიდეოების გადაღების დადასტურებული გამოცდილება;
- წინა დამკვეთების მიერ გაწეული რეკომენდაცია

შესაბამისად, სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების კრიტერიუმები არის შემდეგი:

- ბოლო 5 წლის განმავლობაში სრულყოფილად შესრულებული ხარისხიანი პროდუქტი (გრაფიკულ ანიმაციური ვიდეო);
- ძირითადი პერსონალის/გუნდის CV-ები
- სამუშაოს ღირებულება.

ასევე, ყველა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- დავალების შესასრულებლად (ვიდეო-რგოლების შექმნისთვის) აუცილებელი რესურსების ჩამონათვალი, რომელსაც ფლობს სერვის პროვაიდერი.